პროექტი: „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის პროგრამების ინტეგრირება მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში

(კონცეფცია)

საქართველოს განათლების სისტემაში დღეს მოქმედი რეგულაციებით პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთათვის იქმნება საგანმანათლებლო ჩიხი, რომელიც პრობლემატურს ხდის მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას.

ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭიროა ზოგადი და პროფესიული განათლების იმგვარად ინტეგრირება, რომ სტუდენტი პროფესიულთან ერთად სრულ ზოგად განათლებასაც იღებდეს.

არსებობს ინტეგრირების ორი გზა: ერთი, პროფესიული განათლების ზოგად განათლებაში ინტეგრირება; ან, პირიქით, ზოგადი განათლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრირება.

შემოთავაზებული ხედვა ფოკუსირებულია პროფესიულ განათლებაში (კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონეზე) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებაზე, რაც ხელს შეუწყობს ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხის“ აღმოფხვრას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპის რეალიზებას.

ამდენად, წინამდებარე დოკუმენტი განიხილავს პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირების კონცეპტუალურ საფუძვლებსა და მიდგომებს.

ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ), როგორც კურიკულუმის ტიპის პროგრამა, მთავარ ყურადღებას ამახვილებს მოზარდის განვითარების „გზაზე“, მისი გონებრივი, ფიზიკური, ემოციური თუ სოციალური ძალების განვითარებაზე. განათლების კურიკულუმისეული პერსპექტივა განსაზღვრავს სასწავლო გეგმების სტრუქტურასა და შინაარსს. სტრუქტურული თვალსაზრისით, კურიკულუმი მიზნებზე ორიენტირებულ პროგრამას წარმოადგენს. მასში მიზნები იერარქიზებული სახითაა წარმოდგენილი. მაშასადამე, მიზნებზე ორიენტირებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია, რომ თითოეული საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მიზნები საერთო დიდი მიზნებიდან გამომდინარეობდეს, რათა სწავლა-სწავლება მართლაც დასახული მიზნებისკენ მიმართულ „გზად“ იქცეს. სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნის მხედველობის არედან

დაკარგვა მოსწავლის განვითარების გზის დაკარგვასაც ნიშნავს, რაც იწვევს თვითმიზნურ, უფრო სწორად უმიზნო სწავლებასა და შინაარსის ამოწურვაზე ორიენტირებას; განვითარების პედაგოგიკის ჩანაცვლებას სქოლასტიკური, ანუ ფორმალური, ზერელე სწავლებით.

მესამე თაობის (2018-2022) კურიკულუმი, რომელშიც სავალდებულო მოთხოვნები საფეხურეობრივი (და არა - წლიური) სტანდარტების სახით გაიწერა, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის წარმოადგენს გეზის მიმცემ ზოგად ჩარჩოს, ეროვნულ საგანმანათლებლო მეგაპროექტს, რომლის განხორციელების იმდენივე გზა არსებობს, რამდენი საგანმანათლებლო დაწესებულებაცაა საგანმანათლებლო სისტემაში. საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალება მიეცათ საკუთარი პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადგილობრივად ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით შეიმუშავონ თავიანთი უნიკალური სასკოლო გეგმა, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზანთა იერარქიაში 5 ძირითადი საფეხური გამოიყო. ესენია:

I. **ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები**	გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან. ისინი განსაზღვრავს იმ ზოგად კომპეტენციებს, რომელთა განვითარება-ჩამოყალიბებასაც უნდა ემსახურებოდეს ყველა საგნის სწავლა-სწავლება.
II. **საგნობრივი ჯგუფის მიზნები**	აზუსტებს და აკონკრეტებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს საგნობრივი ჯგუფის სფეროს ფარგლებში. საგნობრივი ჯგუფის მიზნების განხორციელებას ემსახურება საგნობრივი სტანდარტები და წლიური პროგრამები;
III. **საგნის სწავლა-სწავლების მიზნები**	აკონკრეტებს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი ჯგუფის მიზნებს კერძო საგნის კონტექსტში.
IV. **სტანდარტის შედეგები**	განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და უპასუხებს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს? სწავლა-

	სწავლება, ისევე როგორც შეფასება, უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს შედეგებზე დაყრდნობით. შედეგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ცნებები, როგორც საგანთა სისტემური და გააზრებული ცოდნის საფუძველი.
v. **მკვიდრი წარმოდგენები** (enduring understandings)	მკვიდრ წარმოდგენები სწავლის შედეგებში ასახული სამიზნე ცნებების არსობრივ მახასიათებლებს აკონკრეტებს, და წარმოადგენს ცოდნის იმ არსობრიც სტრუქტურებს, რომლებიც სწავლის პროცესში უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში.

ზოგადი განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (პსპ) სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში აისახოს ეროვნული სასწავლო გეგმების მიზნების იერარქიული რიგი.

ისმის კითხვა: როგორ უნდა მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანთა ხუთსაფეხურიანი იერარქიის ინტეგრირება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში?

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ეროვნული სასწავლო გეგმის მსგავსად, მიზნებზე ორიენტირებულ პროგრამებს წარმადგენენ. ამ პროგრამების მიზანთა იერარქიაში იკვეთება სამი ძირითადი საფეხური:

1) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ორგვარი მიზნები**	ა) შეჯამებული პროფესიული უნარები, რომელთა განვითარება-ჩამოყალიბებასაც ემსახურება სავალდებულო და არჩევითი პროფესიული მოდულები ბ) ზოგადი ტრანსფერული უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება ზოგადი სავალდებულო

	მოდულები
2) **მოდულის სტანდარტის შედეგები**	შედეგები განსაზღვრავს მოდულების მიზნობრივ ორიენტირებს და უპასუხებს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს სტუდენტს მოდულის დასრულებისას? სწავლა-სწავლება, ისევე როგორც შეფასება, უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს შედეგებზე დაყრდნობით.
3) **მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმები**	შესრულების კრიტერიუმები ის უნარებია, რომელთა დაუფლებასაც გულისხმობს შედეგების მიღწევა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიზანთა იერარქიის სათავეში ორგვარი კატეგორიის მიზანია გამოტანილი:

ა) **ხელობის დაუფლება (სპეციფიკური მიზნები);**

ბ) **ზოგადი/ტრანსფერული უნარებით, ანუ კომპეტენციებით აღჭურვა;**

სწორედ ზოგადი მიზნით უახლოვდება პროფესიული განათლება ზოგად განათლებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ზოგადი მიზანი არის ის რგოლი, რომელიც შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ანუ იმ ზოგად კომპეტენციებს, რომელთა განვითარება-ჩამოყალიბებასაც უნდა ემსახურებოდეს საგანთა სწავლა-სწავლება. შესაბამისად, სწორედ ამ დონეზე უნდა მოხდეს ესგ- ზოგადი მიზნების ინტეგრირება.

ესგ-ს დ პსპ-ს მიზანთა იერარქიულ საფეხურს თუ შევუსაბამებთ ერთმანეთს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ესგ	პსპ
I. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები	**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის**

		ზოგადი მიზნები (ზოგადი ტრანსფერული უნარები)
II.	**საგნობრივი ჯგუფის მიზნები**	
III.	**საგნის სწავლა-სწავლების მიზნები**	
IV.	**სტანდარტის შედეგები**	**ზოგადი მოდულის სწავლის შედეგები**
V.	**მკვიდრი წარმოდგენები** (enduring understandings)	**მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმები**

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის წარმოდგენილი მეორე და მესამე საფეხურის, ანუ საგნობრივი ჯგუფისა და საგნის სწავლა-სწავლების მიზნების შესატყვისი მიზნები. პსპ-ს ზოგადი მიზნის უშუალოდ ქვემდგომი მიზნებია ზოგადი მოდულების სწავლის შედეგები.

ზოგად მიზნებისა და მოდულების სწავლების შედეგებს შორის უნდა გაჩნდეს მიზანთა შუალედური რგოლი, რომელიც მიზანთა იერარქიულ რიგში იქნება საგნობრივი ჯგუფისა და საგნის სწავლა სწავლების მიზნების შესატყვისი. ამ შუალედური რგოლის გასაჩენად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ესგ-ს საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნებსა და პსპ-ს ზოგადი სავალდებულო მოდულებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები და განისაზღვროს მათი გაერთიანების გზები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოვადგენთ პროფესიული განათლების მე-4 საფეხურის ზოგად სავალდებულო მოდულებსა და საშუალო საფეხურის იმ სავალდებულო საგნების ნუსხას, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს ზოგად სავალდებულო მოდულებში:

ზოგადი სავალდებულო მოდულები		**საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტები**
მოდულის დასახლება	კრედიტები	საგნები
რაოდენობრივი წიგნიერება	2	ქართული ენა და ლიტერატურა
კომუნიკაცია	3	მათემატიკა
მეწარმეობა	5	ისტორია

საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	გეოგრაფია
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	სამოქალაქო
სამოქალაქო განათლება	2	ქიმია
მეწარმეობა	5	ფიზიკა
უცხოური ენა	5	ბიოლოგია

საგნებსა და მოდულებს შორის არსებული შესაბამისობების დასადგენად, ჩატარდა IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა ზოგადი სავალდებულო მოდულებისა და 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნობრივი სტანდარტების შედარებითი ანალიზი (იხ. პროფესიული განათლების ორი პროგრამისა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნების პროგრამების შედარებითი ანალიზი)

შედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლინდა პროფესიული ზოგადი სავალდებულო მოდულებსა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგნობრივ სტანდარტებს შორის არსებული საერთო და განსხვავებული ცოდნის კომპონენტები და განისაზღვრა საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტების პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირების გზები.

მუშაობის პროცესში, ინტეგრირების კუთხით, გამოიკვეთა ზოგადი განათლების საგნობრივი პროგრამების ორი ტიპობრივი ჯგუფი:

ა) ის საგნობრივი სტანდარტები, რომლებსაც ზოგად მოდულებში არა აქვთ საკმარისი დასაყრდენი ინტეგრირების განსახორციელებლად. მათ რიცხვს განეკუთვნება ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის საგნობრივი პროგრამები.

ბ) ის საგნობრივი პროგრამები, რომელთა ზოგად მოდულებში ინტეგრირებისათვის საკმარისი საფუძველი არსებობს. მათ რიცხვს განეკუთვნება: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება.

შესაბამისად, გადაწყდა:

- პირველი ჯგუფის, სახელდობრ, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის სტანდარტების გაერთიანება ერთ ახალ მოდულად, რომელსაც „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ დაერქმევა;
- მეორე ჯგუფის სტანდარტების არსებულ ზოგად მოდულებთან ინტეგრირება.

საგნობრივი პროგრამების მეორე ჯგუფიდან ოთხ პროგრამას მოეძებნება თავისი „მეწყვილე“ ზოგადი მოდული. ესენია:

- ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა, რომლის ინტეგრაცია მოხდება ზოგად მოდულში „კომუნიკაცია“; მას დაერქმევა „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“
- მათემატიკის პროგრამას, რომელიც შეერწყმება მოდულს „რაოდენობრივი წიგნიერება“. ამ მოდულს დაერქმევა „მათემატიკური წიგნიერება“.
- სამოქალაქოს განათლების პროგრამა, რომლის ინტეგრაცია მოხდება მოდულში „სამოქალაქო განათლება“. მოდულს დაერქმევა „მოქალაქეობა“.
- გეოგრაფიის სტანდარტი, რომელიც შეუერთდება „მეწარმეობას“.
- ისტორიის პროგრამა ორ მოდულში განაწილდება. მისი ძირითადი ნაწილი შეერწყმება „სამოქალაქო განათლებას“, მცირე კომპონენტი კი - „მეწარმეობას“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ინტეგრირებული პროგრამა „მოქალაქეობა“ შინაარსობრივად გაფართოვდება და შეითავსებს იმ მოთხოვნებსაც, რომლებიც წარმოდგენილი იყო სავალდებულო მოდულში „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“. შესაბამისად, ინტეგრირების შედეგად ეს მოდული გაუქმდა.

1.

ყოველივე ზემოთქმულს ცხრილის სახით წარმოვადგენთ; ცხრილი 1.

საგნობრივი პროგრამა	**მოდული, რომლებშიც მოხდა სასკოლო პროგრამების ინტეგრირება და შესაბამისი კრედიტები**		**ინტეგრირებული მოდულის სახელი და შესაბამისი კრედიტები**	
	მოდული	კრედიტი	ინტეგრირებული მოდული	კრედიტი
ქართული ენა და ლიტერატურა	კომუნიკაცია	3	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	9
მათემატიკა	რაოდენობრივი წიგნიერება	2	მათემატიკური წიგნიერება	9
ისტორიის პროგრამის უმეტესი ნაწილი	სამოქალაქო განათლება;	2	მოქალაქეობა	6
სამოქალაქო განათლება	პიროვნული და ინტერპ. უნარები	1		
გეოგრაფია	მეწარმეობა	5	მეწარმეობა	6
ისტორიის პროგრამის მცირე ნაწილი				
ქიმია			მეცნიერება და ტექნოლოგიები,	12
ბიოლოგია				
ფიზიკა				

ესგ-ს საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნების მოდულებში ინტეგრირების შედეგად შეიქმნება იმგვარი მოდულები, რომლებიც წარმოადგენენ ინტეგრირებულ საგნობრივ ჯგუფებს. შესაბამისად, პროფესიულ ინტეგრირებულ ზოგად მოდულებში მიზნები ინტეგრირებულად იქნება წარმოდგენილი: ესგ-ს მიზანთა იერარქიაში მე-2 და მე-3 საფეხურის მიზნები ჩამოყალიბდება მოდულის სწავლა-სწავლების მიზნების სახით, რომლებიც განთავსდება შესაბამისი მოდულების რუბრიკაში: ზოგადი ინფორმაცია.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პროფესიული საგანმანათლებელო პროგრამების ზოგადი ინტეგრირებული მოდულების მიზნების შესაბამისობას ცხრილის სახით წარმოვადგენთ:

ზოგადი განათლების სასწავლო გეგმის მიზნები		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები
I.	ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიზნები
II.	საგნობრივი ჯგუფის მიზნები	მოდულის სწავლა-სწავლების მიზნები;
III.	საგნის სწავლა-სწავლების მიზნები	
IV.	სტანდარტის შედეგები	მოდულის სწავლის შედეგები
V.	მკვიდრი წარმოდგენები (enduring understandings)	მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმები

შეჯამება

ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად საჭიროა ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნები განთავსდეს პროფესიული განათლების იმ კომპონენტში, რომელიც ზოგად განათლების მიზნებს ემსახურება. ასეთი კომპონენტია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი სავალდებულო მოდულები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მსგავსად, ზოგად საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებას ემსახურება.

როგორ უნდა მოხდეს ესგ-ს საშუალო საფეხურის სრულფასოვანი ინტეგრირება პსპ-ის ზოგად მოდულებში?

ამის უზრუნვლესაყოფად შემდეგი აუცილებელი ნაბიჯები უნდა გადაიდგას:

ნაბიჯი 1. ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწვლების მიზნების (იხ. Ncp.ge. სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური ნაწილი , მუხლი 7) შეტანა პროფესიული პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის ზოგად მიზნებში (იხ. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, 3. მიზანი)**

ნაბიჯი 2. ზოგადი საგანმანათლბელო პროფესიული პროგრამის „ინტეგრირებული ზოგადი მოდულების“ პაკეტის შექმნა, რაც მოითხოვს ესგ-ს საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნობრივი პროგრამების (იხ. აქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2011 წლის 11 მარტს №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა - საგნობრივი სტანდარტები და საათობრივ ბადე) პროფესიული პროგრამების ზოგადი სავალდებულო მოდულებთან ინტეგრირებას; ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შესაქმნელად საჭიროა შემდეგი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა:

2.1. შედარებითი ანალიზის საფუძველზე ესგ-ს საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნობრივ პროგრამებსა და პროფესიული ზოგად მოდულებს შორის არსებული საერთო და განსხვავებული ცოდნის კომპონენტების განსაზღვრა.

2.2. საერთო ცოდნის კომპონენტების გათვალისწინებით მოდულებისა და სასკოლო პროგრამების გაერთიანება საერთო ზოგად მოდულებად და ამ მოდულებისთვის სახელის დარქმევა;

23. ცოდნის განსხვავებული კომპონენტების განაწილება და ინტეგრირება გაერთიანებულ მოდულებში და/ან ამ განსხვავებული კომპონენტებით ახალი ინტეგრირებული მოდულის/მოდულების შემუშავება და სახელის დარქმევა;

ნაბიჯი 3. თითოეული ინტეგრირებული მოდულის სწავლა-სწავლების მიზნების ჩამოყალიბება და შეტანა შესაბამისი მოდულის პირველ ზოგად ნაწილში - 1. „ზოგადი ინფორმაცია“.

ნაბიჯი 4. თითოული მოდულის მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე მოდულის მეორე ნაწილის „სტანდარტული ჩანაწერების“ განსაზღვრა, სახელდორ, სწავლის შედეგების ფორმულირება. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მოდულის „სტანდარტული ჩანაწერების“ დანარცენი ნაწილების - შესრულების კრიტერიუმების, კომპეტენციის პარამეტრების ფარგლების, შეფასების მიმართულებისა და კრედიტების რაოდენობის განსაზვღვრა,

ნაბიჯი 5. ინტეგრირებული მოდულის მეორე ნაწილის, „სტანდარტული ჩანაწერების“ საფუძველზე მოდულის მესამე ნაწილის - „დამხმარე ჩანაწერების“ განსაზღვრა.